ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N208/06

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიო შესყიდვის განხორციელების შესახებ

ქ. თბილისი 2022 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა საღინაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „როიალ მედი“, (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ ხარაიშვილის სახით, ერთად წოდებულნი „მხარეებად“ დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დაფინანსების ფარგლებში** ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ლაბორატორიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსები ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის“ (ENI/2020/417-316) საგრანტო ძირითადი ხელშეკრულებისა და დამტკიცებული ბიუჯეტის თანადაფინანსებით ბენეფიციარი უნივერსიტეტებისათვის (ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ლაბორატორიული სხვადასხვა სახარჯი მასალების სახელმწიფო შესყიდვა.

2.2. შესყიდვის ობიექტის აღწერილობა

#	დასახელება	აღწერილობა	რაოდენობა	განზომ. ერთეული	ერთეულის ფასი	სულ ფასი
1	ლაბორატორიული ხალათი CPV35113490	ერთჯერადი, არასტერილური, ინდივიდუალურად ან 10-10 შეფუთული, თასმებით უკან შესაკრავი (წელზე და კისერზე), გრძელი მანჟეტებით, ლურჯი ან მწვანე ფერის, ზომა უნივერსალური ან M ზომის	500	ცალი	2.50	1250
2	რესპირატორი CPV33140000	ლაბორატორიული კლასის, FFP2, N95 ან მსგავსი სტანდარტის, რეზინის ორი შესაკრავით (კისერზე და კეფაზე სამაგრი)	200	ცალი	8.00	1600
3	თავსაბურავი/ჩაჩი CPV18440000	არასტერილური, ერთჯერადი, თეთრი ან ცისფერი	500	ცალი	0.10	50

4	50 მლ პოლიეთილენის სინჯარა CPV33192500	არასტერილური, კონუსური, სახურავით, გრადუირებული	250	ცალი	0.50	125
სულ ფასი					*3025 ლარი*	

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3025.00 (სამიათასოცდახუთი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის მიწოდებასთან და ტრენინგთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს:

4.1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსპექტირების ჯგუფი ან/და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ლაბორატორიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსები ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის“ (ENI/2020/417-316) კოორდინატორი ნინო ინასარიძე, რომელსაც შეუძლია ინსპექტირება განახორციელოს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად (თსუ ინსპექტირების ჯგუფთან).

4.2. ინსპექტირება გულისხმობს შესაბამისობის დადგენას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან, ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული ან მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის და მასთან დაკავშირებული მომსახურებების ხარისხის კონტროლს.

4.3. ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე.

4.4. „შემსყიდველი“ ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს „მიმწოდბელს“ საბოლოო შემოწმების შედეგი დაწუნებული საქონლის (მომსახურების) დასახელების და წუნდების მიზეზის მითითებით.

4.5. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული შესყიდვის ობიექტის შეცვლა.

4.6. ყველა გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

5.1. შესყიდვის ობიექტის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში (მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

5.3. ანგარიშსწორება იწარმოებს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების გამოწერიდან და ინსპექტირების დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების, ინსპექტირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების, ინსპექტირების დადებითი დასკვნის გამოუწერლობის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ შეუჩერდება დაფინანსება, ხოლო საკითხის 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, მიიღება გადაწყვეტილება მასთან ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე ყველა რისკი მოსაწოდებელი შესყიდვის ობიექტის (საქონლის) შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან სხვა ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული რისკები გადადის შემსყიდველზე.

6.4. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 06 მარტის N52/02/01

ბრძანების საფუძველზე სამეურნეო განყოფილების უფროსის მოადგილე, საწყობის გამგე - ელგუჯა ობოლაძე.
6.5. მომსახურების შესრულების დღედ მიიჩნევა მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღე.

7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

7.1. საქონლის მიწოდების ადგილია:
7.1.1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N1 თსუ საწყობი.
7.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შესაძლებელია ეტაპობრივი მიწოდება.
7.3. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

8. გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა მიწოდებული შესყიდვის ობიექტის არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობის გრანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება ახალი, არა მეორადი ქარხნულად აღდგენილი/გადამუშავებული და შეფუთვის მთლიანობა არ იქნება დარღვეული. მოწოდებული საქონელი უნდა იყოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, შესაფერისი იმ მიზნებისათვის, რომლისთვისაც ის არის გათვალისწინებული.
8.2. შესყიდვის ობიექტის დარჩენილი ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს საერთო ვადის არანაკლებ 60%.
8.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის დანიშნულების ადგილზე მიწოდება დაზიანებისა და გაფუჭების გარეშე. შეფუთული საქონელი უნდა იყოს მდგრადი დეფორმაციის, ტრანსპორტირებისა და კლიმატური პირობების ცვალებადობებისადმი.
8.4. შესყიდვის ობიექტის მიღებისას წუნის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით შეცვალოს წუნდებული საქონელი, წუნის გამოვლენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

9. ხელშეკრულების პირობების შესრულება

9.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
9.2. ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
9.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, „მხარეები იტოვებენ უფლებას ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება და მოითხოვონ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.4. მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობთ ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.6. მიმწოდებლის მიერ ნაკისრ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რამაც გამოიწვია ხელშეკრულების შეწყვეტა, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
9.7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში, ამ გარემოებათა არსებობის განმავლობაში.
10.2. დაუძლეველი ძალა გულისხმობს: ომსა და საბრძოლო მოქმედებებს, სტიქიურ უბედურებებს, ხანძარს, გაფიცვებს, სამოქალაქო არეულობას, საკანონმდებლო ცვლილებებს.
10.3. დაუძლეველი ძალის მოვლენის დადგომის შემთხვევაში მხარე, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით მიმართავს მეორე

მხარეს ამის შესახებ, თუ დაუძლეველი ძალის მოვლენა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებმა შეიძლება შეწყვიტონ ზელშეკრულების მოქმედება.

10.4. მხარე არ თავისუფლდება პირობებისაგან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ძალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც განსაზღვრულ ვადებში.

11. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

11.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი იღებენ ურთიერთვალდებულებას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.

11.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი შესრულება;

ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

გ) მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე;

დ) შეწყვიტოს ხელშეკრულება შესყიდვის ობიექტის ხარისხის და/ან ხელშეკრულების პირობების გაუარესების გამო.

11.3. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების დროული გადახდა.

11.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი დაცვა.

11.5. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ადგილზე მიწოდება, ინსტალაცია, ტრენინგი;

ბ) შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მიწოდება

12. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისთვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%-ის ფარგლებში.

12.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.5. ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.

12.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12.7. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

13. ხელშეკურლების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

13.2. ხელშეკრულების მე-7 მუხლი ძალაშია მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის მიუხედავად.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ყველა დავა, რომელიც წარმოიქმნება წინამდებარე ხელშეკრულებიდან, უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.

14.2. თუ მხარეები 10 (ათი) კალენარული დღის განმავლობაში ვერ მოილაპარაკებენ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს კანონმდბლობით დადგენილ წესებს.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

15.2. მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას.

15.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

15.1. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულების დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

15.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

15.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მიმოწერა სრულდება ქართულ ენაზე.

15.7. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ წერილობითი ფორმით ორმხრივი ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

15.3. შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირ(ებ)ი და ასევე კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი ადასტურებენ, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს და მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

15.8. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად“.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ –ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი – ი.ჭავჭავაძის გამზ N1

საბანკო რეკვიზიტები:

სახელმწიფო ხაზინა

საკუთარი შემოსავლებიდან ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ლაბორატორიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსები ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის“ (ENI/2020/417-316) თანადაფინანსებით

საიდენტიფიკაციო კოდი: 204864548

Digitally signed by LEPL Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date: 2022.03.31 15:02:47 +04'00'

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიმწოდებელი

შპს „როაილ მედი“

მისამართი – პოლიტკოვსკაიას 6

საბანკო რეკვიზიტები:

ს.ს. "პროკრედიტ ბანკი"

ანგ. NGE71PC0133600100064038

ბანკის კოდი MIBGGE22

საიდენტიფიკაციო კოდი 405152579

შპს „როიალ მედი“-ს დირექტორი

_____

/მ.ხარაიშვილი/

Royal med LLC

Digitally signed by Royal med LLC
Date: 2022.03.31 14:53:06 +04'00'

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. თბილისი 2022 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ლაბორატორიული სხვადასხვა სახარჯი მასალების CPV35113490 CPV33140000 CPV18440000 CPV33192500 სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში შპს „როიალ მედი"-სთან მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ირაკლი საღარეიშვილი

დეპარტამენტის უფროსი
საფინანსო დეპარტამენტი

არჩილი კუკულავა

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი

ანეტა მერკვილიშვილი

განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
შესყიდვების განყოფილება

დინარა ტიკარაძე

მთავარი სპეციალისტი პირველი კატეგორია
შესყიდვების განყოფილება